აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 2

28 ივლისი 2008 წელი ქ. ბათუმი

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. შეიქმნას კომპიუტერული უზრუველყოფის დროებითი სამსახური.

მუხლი 2. კომპიტერული უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის მუშაობის გამართულობას;

გ) ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს უსკოს აპარატში;

დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს;

ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;

ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიციფირებას;

ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;

თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;

ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;

კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;

ლ) მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული ამომრჩეველთა ერთიანი სიის ელექტრონული ვერსიის დამუშავებაში;

მ) მონაწილეობს საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად ამომრჩეველთა ერთიან სიებში შესატანი ცვლილებების გადამოწმებასა და მის დროულად დამუშავებას;

ნ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს;

ო) კონსულტაციას უწევს კომისიის წევრებს, აპარატის თანამშრომლებსა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს კომპიუერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამულ საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით;

პ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა პირადი ნომრებისა და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;

ჟ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის კანონით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, სამუშაო აღწერილობითა (ინსტრუქციით) და შინაგანაწესით, საქართველოს სხვა კანონებითა და სამართლებრივი აქტებით;

რ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიურ განახლებას;

ს) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სასაქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ამ დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედება განისაზღვროს სამი თვით.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია